ტფილისი

№ 72
მარტის 30, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 72
მარტის 30, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანი აპირველ აპრილიდან „ივერია" მოესპობა.

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 8 მანეთი

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნეინა იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა შვილებითურთ და ივანე დავითის ძე სულხანიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის დედისა და მეორე დისას

კნ. ნატალია დავ. ასულის ციციშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ კვირას, 30 მარტს, საღამოს 7 საათზედ, თ. ბარათაშვილის სახლში. აქედგან მიცვალებულს გაასვენებენ ტფილისის სადგურზედ, ორშაბათს, 31 მარტს დილის 11 საათზედ. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 1 აპრილს, ს. ქარელში, საგვარეულო ეკლესიაში. (2—79—1)

ჟირარდის მანუფაქტურის

საწყობში

ხლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

(100—50) **დონერ—ლეიტცი.**

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—11)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კლენის სისტემისა

„იდეალ"

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (12—6.—10)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან ქართ. შორის წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული

რუსულ-ქართული ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა.

ფასი ორი მანეთი და ორი აბაზი

წიგნის გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც ამ ადრესით: Тифлисъ Общество распространенія грамотности (5—9—1)

გაიხსნა

დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში. (7—6.—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაძი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. მ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხუთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზბოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 30 მარტი.

დღეს დანიშნულია საზოგადო კრება ჩვენის სამეურნეო საურთიერთო ნდობის ბანკისა, რომელიც აგერ თითქმის შვიდი წელიწადია არსებობს.

ყველამ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხან-მოკლე ვადიანსა და რაოდენობით მცირე კრედიტს იმისთანა ქვეყნისათვის, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა. ღარიბს, ეკონომიურად დაბეჩავებულს, მევახშეთა ხელში ჩავარდნილს ხალხს, რომელსაც მარჯვენის მეტი თითქმის არა გააჩნია-რა, მხოლოდ კრედიტი ჰშველის. კრედიტი ამ გარემოებაში სწორედ უკვდავების წყაროა, სულზედ მისწრებული ზიარება. კრედიტის შემწეობით, ოღონდ-კი გონივრულად იყოს მისი საქმე წარმოებული, ოღონდ-კი გონება-დატანებით იყოს იგი მოხმარებული, და ნივთიერად დასუსტებულს და დაცემულს ხალხს შეუძლიან წელში გასწორდეს, განაკარგოს თვისი მდგომარეობა, საუკეთესოდ მიჰმართოს თვისი საქმენი, თითქმის მკვდრეთით აღსდგეს.

იაფი, ადვილად საშოვარი კრედიტი ჰშველის და ეხმარება ყველას, ვისაც-კი გული ერჩის შრომისა და საქმიანობისათვის, ვინც-კი სულ უმოქმედო და მცონარე არ არის, ვისაც ოდნავ მაინც უჭრის გონება და სურვილი აქვს იმხნეოს და განძლიერდეს.

ცხადია, ამიტომ, რა სიამოვნებითა, რა გულის-ძგერითა და მოუთმენლობით ველოდით ამ შვიდის წლის წინად ზემოხსენებულის ბანკის დაარსებას. მართალია, ტფილისში იყო ამ ნაირი ბანკები, მაგრამ იქ ჩვენი კაცი ძნელად შოულობდა კრედიტს, იქ წევრად მიღება ქართველისა აგრე ადვილი არ იყო, იქ ღარიბი, ხელ-მოკლე კაცი გულ-შემატკივრობასა და თანაგრძნობას ვერა ჰპოვებდა. იგი ბანკები არსებობდა მხოლოდ ვაჭართათვის, ტფილისის მოქალაქეთათვის, დიდის სოვდაგრებისათვის. ეს ვაჭარნი, ეს მოქალაქენი და სოვდაგარნი იმართავდნენ იქ ხელს, სცვლიდნენ ვექსილებს, იხდიდნენ მცირე სარგებელს და აღებულს ფულს აშუშავებდნენ ვაჭრობაში, იძენდნენ ტფილისში ოხრად მამულებს, იაფად ნაშოვნს ფულს ავალებდნენ მამა-სისხლად ქართველებში და უფრო კიდევ ძლიერდებოდნენ ნივთიერად, სუქდებოდნენ, სისხლმწოველობდნენ.

ჩვენი საადგილ-მამულო ბანკიც-კი იმათ ბედნიერებისა და ნივთიერად გაძლიერების დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა. ბანკში გასაყიდი მამულები, სახლები, ბაღ-ვენახი, გასაყიდად დანიშნული მხოლოდ იმიტომ, რომ პატრონს ათიოდ-ოცი თუმანი ვერ ეშოვა ხელად სარგებლის შესატანად, გადადიოდა იმ ზემოხსენებულ ვაჭართა, ჩარჩთა და სოვდაგართა ხელში და ხშირად უკანასკნელი ლუკმა ეცლებოდა ხელიდან ღარიბს კაცს, მამა-პაპეული მამული გადადიოდა უცხო ტომის ხელში და ქართველი კაცი რჩებოდა ცარიელ-ტარიელი, პირში ჩალა-გამოვლებული.

ამ გარემოებამ, ამ დიდმა ეკონომიურმა სატკივარმა დააფიქრა ჩვენი საზოგადოება და მის უკეთეს წარმომადგენელთ დაებადათ აზრი საურთიერთო ნდობაზედ დამყარებულის ბანკის დაარსებისა ჯერ ისევ ამ 14—15 წლის წინად. ბევრი შეგნებული მომხრე ჰყავდა ამ საქმეს ქართველ ნასწავლ და განათლებულ კაცთა შორის. მაგრამ ბევრნი წინააღმდეგნიც იყვნენ. ახალი ბანკი ვერ იხეირებს, ქალაქში მაგნაირი ბანკი რამდენიმეა და ახალს მუშტარი არ ეყოლებაო. მაგისთანა ბანკებს ვაჭარი ხალხი აცოცხლებს და უდგავს სულს, მდიდარი სოვდაგრები ინახავენ შიგ ფულს და მით შეძლებას აძლევენ მაგნაირს ბანკს ატრიალოს თავისი საქმე, იხეიროს და ნაყოფიერად იმუშაოსო. ჩვენ-კი, ღარიბ ქართველობას, სადა გვყავს ან ვაჭარნი, ან სოვდაგარნი და ფულიანი კაცები, რომ ნამეტნაობა თვისის ქონებისა ჩვენს ბანკში დააბინაონ საოპერაციოდ და ან კი ვინ ენდობა ქართველების ბანკსაო.

ასე მსჯელობდნენ ზოგიერთნი ქართველნი და, სამწუხაროდ, მათ შორის ერივნენ არა ერთი და ორი გავლენიანი და ჭკვიანი კაცებიცა.

საქმე დაბრკოლდა, შეფერხდა რამდენიმე ხნით, მაგრამ სასარგებლო და ჭეშმარიტი აზრი, ცხოველ-მყოფელი, ცხოვრების დიდის საჭიროების გამო გაჩენილი და დაბადებული აზრი აღარ კვდება, აღარ იშთობა, მალე სძლევს ყოველ გვარ დაბრკოლებას და მხნედ იკვლევს გზას განხორციელებისათვის.

ამ აზრსაც ასე მოუვიდა. დაბრკოლება დაძლეულ იქმნა. საჭიროება კრედიტისა მეტად ხმა-მაღლა ჰღაღადებდა, რომ მისი ჩაჩუმება და უგულებელ ყოფა შესაძლებელი ყოფილიყო. და, აი, ნაყოფიერმა აზრმა გაიმარჯვა. 1895 წელს დაარსდა ჩვენი საკუთარი ბანკი. ხელმძღვანელნიც გამოჩნდნენ და ბანკმა მიჰყო ხელი მუშაობას.

საქმე დაწყებულ იქმნა სულ მცირე თანხით. პირველ წლის ბალანსები სწორედ სასაცილო იყო ოპერაციების სიმცირის გამო. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და მალე ბალანსებში ასი-ათას მანეთამდე ავიდა ოპერაციები აქტივისა და პასივისა, ხოლო საზოგადო ტრიალმა თანხისამ მილიონს გადააჭარბა. დღეს ეს ტრიალი 9 მილიონს უდრის, ხოლო ბალანსებში მიაღწია ნახევარ მილიონამდე.

დღეს ბანკს 800 წევრი ჰყავს, თანხა თითქმის ათი-ათას თუმნამდე ადის და პასუხისმგებლობა ნაკისრი აქვთ 80 ათას თუმნამდე. კასას შარშან 4 მილიონზედ მეტი ფული გაუცია და მიუღია.

ყოველივე ესე ფრიად კარგი და პატიოსანი. ყოველ ამისათვის დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ ბანკის მოღვაწენი და მუშაკნი. მხოლოდ მათს მხნეობას და მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გროშობით დაწყებული საქმე დღეს მტკიცედ ფეხ-მოკიდებულ და წელში გამაგრებულ, ფრიად საჭირო და სასარგებლო საზოგადო დაწესებულებად არის გადაქცეული.

მაგრამ ამაზედ გაჩერება შეუძლებელია. ცხოველს, დიდს საქმეს ჯერ კიდევ დიდი ყურის გდება, დიდი გაძლიერება უნდა.

ჩვენს ბანკს სამეურნეო ბანკიცა ჰქვიან, მაგრამ ყოვლად მცირეა ოპერაციები ამ ბანკისა მეურნეობის შემწეობისათვის. სულ რაღაც საცოდავი 6000 მანეთია გაცემული სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი. გლეხკაცობისათვის ხომ, რომელიც არის საფუძველი მეურნეობისა და უიმისოდ მისი წარმატება შეუძლებელია, რომელიც იხრჩობა მევახშეობით და ყელზედ დანა აქვს დაჭერილი უკრედიტობით, ძალიან ნაკლებად ჰზრუნავს ჩვენი სამეურნეო ბანკი და თითქმის ხელს არ ანძრევს, რომ კრედიტი დაუახლოვოს სოფელს, მიაწოდოს სოფლის ხალხს იაფის სარგებლით სესხი.

ჩვენი ბანკი ნაკლებად სცდილობს მიიზიდოს ახალნი წევრნი, მეტადრე იმათ შორის, რომელნიც მეურნეობასა და ხელოსნობას ან წვრიმალ ვაჭრობას მისდევენ. ჩვენ ვერ შევალთ იმის კრიტიკულს განხილვაში, როგორ ჰმოქმედებს ესრედ-წოდებული წევრად მიღების კომიტეტი, და ან რა მოსაზრებით ჰხელმძღვანელობს იგი თავის მოქმედებაში, მაგრამ არ შეგვიძლიან მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ წევრთა რიცხვი წარსულ იანვრისთვის ნაკლებია, ვიდრე შარშან წინ იანვრისთვის ყოფილა.

საზოგადოდ საჭიროა მეტი მხნეობა, მეტი შრომა ბანკის ოპერაციების გაძლიერებისათვის. საჭიროა შემცირდეს ცოტაოდნად მაინც სარგებელი, რომელსაც ბანკი ახდევინებს ვექსილებით აღებულს ფულში, აგრედვე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გი-

რათი გაცემულშიაც. მეტადრე ამ უკანასკნელს ოპერაციებს უნდა მიექცეს ყურადღება.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბანკის მუშაკნი სამართლიანის თანაბრობით არ არიან დაჯილდოვებულნი. ბანკს ჯერ იმდენი საქმე არა აქვს, რომ სამი კაცი გამგეობისა ბევრად მეტს იღებდეს გასამჯელოს, ვიდრე იღებენ ყველა დანარჩენნი მუშაკნი ბანკისა ერთად. ბანკის გამგეობა იღებს მაგალითად წელიწადში 7.200 მანეთს, ხოლო დანარჩენნი მსახურნი—3947 მანეთს. მთლად ხარჯი ბანკისა შარშან ყოფილა 16,187 მან. 21 კაპ. მაშასადამე, სამს კაცს გამგეობისას უნდება თითქმის ნახევარი მთელის ხარჯისა, რაც ბანკს აქვს, რაც ეხარჯება თუ სახლის ქირად, თუ საბჭოზედ ან ჰიმღებ კომიტეტზედ, მთელს ბუხგალტერიასა და კანცელიარიაზედ და სხვანი-და-სხვანი. სულ 15 მუხლია ხარჯისა და ამ 15-ში ერთს მუხლს თითქმის ნახევარი უნდება მთლად ხარჯისა.

ეს სწორედ მეტის-მეტია!

ეს ის არის, რომ ჩვენს ბანკში უგულებელყოფილია, ყოვლად დაჩაგრულია შრომა ბანკის მცირე მუშაკთა და მოხელეთა. ბანკის გამგეობასა და საბჭოს ეს მაინც ექმნა, რომ დივიდენდად ყოველ 100 მანეთზედ, 6 მან. 32 კაპ. მაგიერ, ცოტა ნაკლები დაენიშნა და საზოგადო კრებისათვის ეთხოვნა, დანარჩენი გადადებულიყო იმ მცირე მუშაკთა დასაჯილდოვებლად. დაე, ისევ წევრთ დაჰკლებოდათ თითო-ოროლა შაური და მცირე მუშაკს-კი მისცემოდა რიგიანი სასყიდელი!

მაგრამ ვისი ბრალია ესა? რასაკვირველია, ჯერ საზოგადო კრებისა და მერე საბჭოსი, რომელიც, საზოგადო კრების შემდეგ, უმთავრესი ორგანოა ჩვენის ბანკის მართვა-გამგეობის საქმეში.

მაშ, ასე. ჯერ კიდევ ბევრი მხნეობა, ბევრი მეცადინეობაა საჭირო, რომ ბანკი მტკიცე საფუძველზედ დამყარდეს, რათა მან აღასრულოს თვისი უპირველესი დანიშნულება—გაუწიოს სამსახური ჩვენებურს ვაჭრობას, ხელოსნობას, მეურნეობას, უმთავრესად სოფლო მეურნეობას.

ამისათვის-კი საჭიროა, რომ ბანკის გამგებელნი უფრო ღრმად ჩაუკვირდნენ ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას, უფრო მეტად შეიგნონ თვისი მოვალეობა, მეტად შეიყვარონ სოფელი და ნაკლებად აფასებდნენ ქალაქის ფუფუნებით სავსე ცხოვრებას.

მტერ-მოყვარე ბევრი „გვყავს“ და ძლიერი. მისის მოგერებისათვის დიდი სიფხიზლე და გამრჯელობაა საჭირო...

ტფილისი

◆ ამ დიდ-მარხვაში, როგორც მკითხველებმა უწყიან, ქართულ თეატრის მსახიობებმა ამხანაგობა შეადგინეს, რომელმაც ერთის თვის განმავლობაში გამართა შვიდი წარმოდგენა, მათ შორის ორი საქველმოქმედო აზრით. წარმოუდგენიათ ოთხი ახალი პიესა: „მურად ფაშა“, „ნორა“, „ორი დარაჯი“, „მედეია“ და ისტორიული პიესები: „და ძმა“, „მტარვალი“, „კონსტანე ბატონიშვილი“ და ვოდევილები: „ადვოკატთან“ და თავგის ბრალია“. შემოსულა ყველა წარმოდგენებიდგან 2,384 მ. 60 კ. ხარჯი ჰქონიათ: თეატრის ქირა, ტანისამოსის შენახვით 900 მ. წვრილი ხარჯი 25 მ. საავტორო სახდელი 62 მ. ტანისამოსების ქირა 54 მ. მსახიობთ რგებით 725 მ. და საქველ-მოქმედო საქმეს 616 მ.

◆ დუშეთის მაზრისთვის დააარსეს საკუთარი სამაზრო განყოფილება საეკლესიო სკოლის საქმეთათვის ბლაღოჩინის მღვდლის მეტრეველის თავმჯდომარეობით.

◆ ქალაქ ახალციხეში დაარსდა საკუთარი სამაზრო განყოფილება საეკლესიო სკოლათათვის ბლაღოჩინის დეკანოზის დ. ხახუტაშვილის თავმჯდომარეობით.

◆ საეპარქიო საბჭოს ტფილისის განყოფილების საქმის მწარმოებელმა მასწავლებელმა ა. ნატროშვილმა თანამდებობას თავი დაანება, ხოლო განყოფილების წევრად დარჩა. საქმის მწარმოებლად განყოფილებაში არჩეულ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიის სამაგალითო სკოლის მასწავლებელი ღვთის მეტყველების კანდიდატი სერგი გორგაძე.

◆ როგორც ამბობენ, ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადმოყავთ ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ი. ბუტირსკი, რომელიც ამასთანავე მღვდლად უნდა ეკურთხოს.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა უწმინდესის სინოდის წინაშე, რომ სახელმწიფო ხარჯით აშენდეს ბინები სემინარიის ადგილზედ (ვერა) მასწავლებელთათვის. დღემდის სემინარიის თითოეულს მასწავლებელს ეძლევა ბინის ფულად წელიწადში 360 მანეთი.

◆ სათანადო მთავრობის მიერ განძრახულია დედათა საოსტატო სკოლის დაარსება ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ეზოში. სასწავლებელი მოამზადებს მასწავლებელ ქალებს საეკლესიო სკოლათათვის, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

◆ ახლად დანიშნული იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე ვასილი ვასილის ძე ვასილიევი უკვე შეუდგა თვისი თანამდებობის აღსრულებას. მისმა წინამძღოლმა მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ, ღვთისმეტყველების კანდიდატმა, ჩააბარა საქმეები ბ-ნ ვასილიევს, და მიიღო ახალი თანამდებობა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედა-მხედველისა.

◆ ბორჩალოს მაზრის საეკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურედ გამწესებულ იქმნა ბლაღოჩინი მღვდელი ილია შუბლაძე.

◆ დღეს, 30 მარტს, დანიშნულია კერძო კრება ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა, საჰიდრავლიკო სადგურის მოწყობის თაობაზედ.

◆ 1-ლ აპრილს პეტერბურგში მიემგზავრება მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედვედევი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამინისტროში ამიერ-კავკასიის გლეხთა ადგილ-მამულების მოწესრიგების შესახებ საკითხის განხილვაში.

◆ 27 მარტს დანიშნული იყო ტფილისის ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს კრება, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, სხვა დროისათვის გადაიდო.

◆ ქალაქის საფინანსო კომისიამ განიხილა კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობა, ხსენებულ საზოგადოებისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ როგორც ვიცით, სასწავლებელთა კომისიამ საჭიროდ არ დაინახა შემწეობის აღმოჩენა, ქალაქის გამგეობამ-კი აუცილებლად მიიჩნია და დაუნიშნა 500 მანეთი. საფინანსო კომისიამ დაადგინა ის, რაც ქალაქის გამგეობამ. ამ დადგენილებას მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის საბჭო განიხილავს.

◆ დღეს, 30 მარტს, დანიშნულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს თავმჯდომარე და წევრნი გამგეობისა, რადგან წინანდელთ ვადა გაუთავდათ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა კოჩაევმა შეიმუშავა პროექტი იმ სავალდებულო დადგენილებათა, რომელიც შეეხება სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა დასვენებას კვირა-უქმით. ამ დადგენილებათა ძალით სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი კვირა-უქმეობით ღია უნდა იყოს მხოლოდ 12-დან 2 საათამდე; სავაჭრო კანტორები და ის ადგილები, სადაც გაზეთები იყიდება—დილიდან ნაშუადღევის 2 საათამდე; დუქნები და მაღაზიები, სადაც სანოვაგეს ჰყიდიან, 9-დან 12 საათამდე. ვაჭრობა სრულიად უნდა აიკრძალოს ახალწელიწადს, ნათლიღებას, აღდგომის პირველ ორ დღეს და შობას. ქალაქის გამგეობამ, განიხილა—რა ეს პროექტი, დაადგინა ერთი კრება კიდევ დანიშნოს ამ საგნის განსახილველად. კრებაზედ მიწვეულ იქმნებიან ტფილისის პოლიცმეისტერი და ვაჭართა და ხელოსანთა წარმომადგენელნი.

◆ მთავრობას აზრად აქვს დაუკლოს რკინის გზებზედ მოსკოვიდან ტფილისამდე სამანუფაქტურო საქონლის გადასაზიდ ტარიფს. ამ საკითხს განიხილავს მოკლე ხანში რკინის გზების წარმომადგენელთა სატარიფო კრება.

◆ ამბობენ, სახელმწიფო სააღგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილების მმართველი ბ-ნი ბოგოსლოვსკი გადაჰყავთ ამავე ბანკის პენზის განყოფილების უფროსადაო.

◆ ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთა გარდაწყვეტილებით, ამას წინად განსაკუთრებულმა კომისიამ რევიზია მოახდინა მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის საქმეებისა. კომისიას თავისი მოხსენება გადაუცია საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის, რწმუნებულთა კრების დადგენილების თანახმად. მდაბიო მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა საგუბერნიო გამგეობას, კომისიის მოხსენება ჯერ რწმუნებულთა კრებას გარდაეცეს განსახილველადაო. საგუბერნიო გამგეობამ შეატყობინა, სარევიზიო ანგარიშის დაბრუნება არ შეიძლება, რადგან იგი დამატებაა საკრებულოს წევრის ბ-ნ ბარანოვსკის მიერ მოხდენილ რევიზიისა და ამიტომ იგი განსახილველად გარდაეცემა გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოსსო.

◆ ახალ-ქალაქის რწმუნებულთა კრებას დაუდგენია თვითონ იკისროს იმ წიგნთ საცავ სამკითხველოს მართვა-გამგეობა, რომელიც ამას წინად დაიხურა. სამკითხველოსათვის პუშკინის სახელი დაურქმევიათ.

◆ 1902 წლის განმავლობაში ტფილისის სიფხიზლის საზოგადოებას საკმაოდ გაუფართოვებია თავისი მოქმედება. წევრი ჰყოლია 192.

◆ როგორც ვიცით, ამ ჟამად აშენებენ საკუთარ შენობას ტფილისის სამუსიკო სასწავლებლისათვის. ამ შენობის დასამთავრებლად კ. მ. ალიხანოვმა 16,000 მ. შესწირა. შენობა ამა წლის აგვისტომდე დამთავრდება.

◆ ამას წინად ცხინვალში სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა გაჩნდა. ტფილისის სამკურნალო გამგეობამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მისაღებად მკურნალი გაჰგზავნა. როგორც აღმოჩნდა, ავადმყოფობა სახლების უქონლობისა გამო გაჩენილა. მცხოვრებთა შორის ახალი სახლების ასაშენებლად, ნაცვლად წარსულ ზაფხულს გადამწვარ სახლებისა, არ არის საკმაო თანხა შეკრებილი.

◆ ტფილისში დაბრუნდა საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი, რომელიც გაგზავნილი იყო გორისა და ახალ-ქალაქის მაზრებში. ამ ადგილებში ამ ჟამად არავითარი ავადმყოფობა არ არის.

◆ 1-ლ ნოემბერს ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის არსებობის 27 წლის იუბილეი სრულდება. 23 წლის იუბილე სასწავლებელმა ვერ იდღესასწაულა საკუთარ შენობის უქონლობისა გამო, 1-ლ ნოემბერს-კი ახალ შენობაში იქმნება სასწავლებელი მოთავსებული და ამ დროს იუბილეიც იქმნება გადახდილი.

◆ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, რათა ნება დართონ ხალხში გაავრცელონ პატარა წიგნაკები, რომელნიც შეიცავენ დარიგებას წყალში ჩავარდნილთა გადარჩენის შესახებ. ეს წიგნები გამოსცა წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელმა ტფილისის საზოგადოებამ.

◆ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ნააღდგომევს ტფილისში მოდის მოსკოვის საიმპერატორო დასი, რომელიც წარმოდგენებს საარტისტო საზოგადოების თეატრში გამართავს. დასში, სხვათა შორის, არის ჩვენი თანამემამულე სუმბათაშვილი (იუჟინი). სუმბათაშვილის პატივსაცემლად არტ. ვასო აბაშიძე და კოტე მესხი ქართულ წარმოდგენას გამართავენ. წარმოდგენის შემდეგ გაუმართავენ ვახშამს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო მსახიობნი კაცნი და ქალნი: ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი და ქ.ქ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ლ. ჩერქეზიშვილისა, ეფ. მესხი, ნუცა ჩხეიძე, ტ. აბაშიძე და სხვ.

◆ როგორც ამბობენ, ტფილისის თავად-აზნაურთა საკრებულოს მდივანი ზ. დ. ასლამაზოვი თავის თანამდებობას თავს ანებებს.

◆ ზემო იმერეთიდგან გვატყობინებენ, თოვლი გადნა, მხოლოდ აქა-იქ მთის მწვერვალებზედ თუ შერჩა და ისიც დნებაო. ამასთან დარები კარგი დაუჭერია.

◆ ამ რამდენიმე კვირის წინად ტფილისის ქალაქის ხუროთ-მოძღვარმა ოქმი შეუდგინა ექ. ხელაძეს, შენი სტამბა, რომელიც იმყოფება აირმუკაში, ვანქის შენობაში, საშიშ მდგომარეობაში არის და, შეიძლება, შენობა ჩაინგრესო. ხელაძემ თავის მხრივ მოიწვია საგუბერნიო ხუროთ-მოძღვრები და გაშინჯა შენობა. ამ უკანასკნელთ სახიფათოთ არ იცნეს სტამბის შენობა და ხელაძემ პირდაპირ გუბერნატორთან განასაჩივრა ქალაქის ხუროთ მოძღვრის ოქმი, გუბერნატორმაც თავის მხრივ მოსთხოვა ქალაქის მმართველობას ამ საქმის გამოკვლევა.

◆ აი სადამდე მიდის თავხედობა სხვის ქონების მოყვარულ ვაჟბატონთა, შემდეგის მაგალითიდგან სჩანს. აგერ სამჯერ გაჰქურდეს მთა-წმინდაში წყლის საყვანის ყურის მგდებლის სადგურში მცხოვრებნი ნოე თოთიბაძე, მაგრამ ქურდის კვალს ვერ მიაგნო. 27 მარტს ხსენებული პირი დღის 3 საათზედ ქალაქიდან თავის სადგომში დაბრუნდა და შეაღო ეზოს კარები. მის სახლის კარებთან იდგა ორი ვაჟკაცი და ლომით კარებს ამტვრევდნენ. პატრონი რომ დაინახეს, გაიქცნენ. მაგრამ ქუჩის მცველებისაგან საჩქაროდ შეპყრობილ იქმნენ.

მცირე მამულიანობა საქართველოში

და

ჩრდილო კავკასიის ქართველობა.

(წერილი ჩრდილო-კავკასიიდგან).

ზოგიერთნი წარმომადგენელთაგანი პრესისა და ადმინისტრაციისა დარწმუნებულნი არიან, ვითომც საქართველოს გლეხ-კაცობას საკმაოდ აქვს მამული და მიწა-წყალი. ამიტომ საჭიროა, ამტკიცებენ ისინი, რაც თავისუფალი მამული აქვს ხაზინას კავკასიაში მიეცეს იმათ, ვინც შიდა რუსეთში შევიწროებულია უმამულობითა.

ამის გამო, დაარსდა კიდეც ტფილისში საზოგადოება, რომლის აზრი ის არის, რომ მოიძიოს ამისთანა ადგილები, დაასახლოს ზედ შიდა რუსეთიდგან გადმოსახლებულნი მკვიდრნი და ყოველ-მხრივ ხელი შეუწყოს მათს მოწყობას ახალ ადგილებზედ კავკასიაში.

ძალიან კარგი და პატიოსანი. ვინ იქმნება წინააღმდეგი, რომ გაჭირვებულს შემწეობა აღმოუჩინოს, სამუშაო მიეცეს, ადგილ-მამული დაეთმოს. მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, ჩვენს გლეხ-კაცობას საკმაოდ აქვს მიწა-წყალი?

ხოლო თუ ნაკლები აქვს მამული, თუ სწყურიან გადასახლება თავისუფალ ადგილებზედ, ნუთუ მეტი იქმნება, იკისროს ვინმე ზრუნვა ამისათვის, დაუხმაროს და გზა კვალი უჩვენოს ჩვენს გლეხ-კაცობას?

განა უმიწო-წყლობასა და მამულის სიმცირეს არ ამტკიცებს ის გარემოება, რომ მუდამ ვხედავთ ზურგზედ გუდა-ნაბად აკიდებულ რაჭველს, მოხევეს, ქართლელს, გურულს და ამ უკანასკნელ დროს კახელსაც-კი, რომელიც უმამულობის გამო აქეთ-იქით დაძრწის და დაეძებს სამუშაოს?!

არა თუ მრავალი ქართველი გაურბის სოფელს და იქაურს უილაჯობას და დაეძებს სამუშაოს, მრავალია რიცხვი იმ გლეხ-კაცობისაც, რომელიც მოწადინებულია გადასახლებას და ბევრნი მათ შორის გადასახლდნენ კიდეც.

გადასახლდნენ და კიდევაც სახლდებიან, მაგრამ რა მდგომარეობაში არიან დღეს ეს გადასახლებულნი, იპოვეს, თუ არა აღთქმის ქვეყანა, იშოვეს საკმაოდ მამულები, თუ უარეს დღეში ჩასცვივდნენ, ამას არავინ კითხულობს.

გადასახლებულთა შორის არიან: რაჭველნი, დუშეთის მაზრის მკვიდრნი, მეტადრე მოხევენი და კახელნი.

თელავის მაზრაში, მაგალითად, დიდად შევიწროებულია გლეხობა მამულის სიმცირით.

საშუალო რიცხვით, თითოეულს გლეხს საკუთრებად $^3/_4$ დღიურის ძლივს ჰხვდება სახნავი და

ფელეტონი

უსიამოვნო შეხვედრა

(ამბავი)

შუა ზამთარი იყო, საღამო ჟამი. სასტიკ ქარს თან ისეთი ყინვა სიცივე ახლდა, რომ არა თუ ტანისამოსზედ, ძვლებში ლურსმანივით გადიოდა. თუნუქის სახურავებს ისე ძლიერ აწვებოდა ქარი და ისეთი ბრაგუნი მოისმოდა, რომ ასე გგონია ზარბაზნებს ისვრიანო.

ამ ყოვლად საძაგელ დღეს, ტფილისის „უსახელო საზოგადოებაც“ გამოეფხიზლებინა, რადგან ტრამვაის გზაზედ შუშა-ბანდიანი ვაგონები გაეშვათ, რაც იშვიათად შემიმჩნევია ხოლმე; თუმცა-კი ამ შემთხვევაში თავისებური ლოღიკით ეხელმძღვანელნათ; ვერის ხიდზედ გამავალი და „პროსპექტზედ“ მიმავალი ვაგონები მომეტებულ ნაწილი შუშა-ბანდიანი იყო და ბაზარ-რიყისაკენ მიმავალი-კი—ათში ერთი. ალბათ უფიქრნიათ: დაბალი ხალხი მაინც ჩვეულია ყინვა-სიცივეს, გაშლილი ვაგონებითაც იოლად წავა და ვიზრუნოთ, როგორმე პროსპექტისკენ მიმავალი მსუქანი ბურჟუაც არ შევგვიცივდესო. მე მიხეილის ქუჩაზედ ვიდექი, ხელში სავსე ხურჯინი მეჭირა და ვაგონს ვუცდიდი.

მოახლოვდა ერთი უშუშაბანდო, კუკიის ხიდისკენ მიმავალი. შიგ ათიოდე მართლა უბრალო კაცი იჯდა. ერთს ვიღაც,—არ ვიცი სომხის თუ თათრის ქალს,—შავი უშნო ტუჩ-თვალები ოდნავ გამოეყო გახვეულ, ოდესღაც შავი თავსახვევისაგან, ცხვირის წვერი შაბიამანივით გალურჯებოდა და დაგლეჯილ ფარატინებში გამოხვეული ძალზედ ძაგძაგებდა.

სხვებიც არ იყვნენ უკეთეს ყოფაში. თვით კონდუქტორიც, თუმცა სქელი შალის ხელთათმანები ეცვა და თავი ყურებთან ყაბალახით მაგრა შეეხვია, მაინც მოკუზულიყო და პალტოს ვიწრო სახელოებში ხელების დამალვას ცდილობდა.

მე ვერისკენ უნდა წავსულიყავი და ეს ვაგონი გავატარე. რამოდენიმე წუთიც და ვერისაკენ მიმავალი შუშაბანდიანი ვაგონი გამოჩნდა. შორიდგანვე შევამჩნიე, რომ შიგ მარტო ორი კაცი იჯდა.

კონდუქტორმა ერთი უკმაყოფილოდ შეხედა ჩემს ხურჯინს. უნდა გამოგიტყდეთ, ძველიც გახლდათ და ჭუჭყიანიც ჩემი ძველი ნაბადიც ბევრად არ ესიამოვნა და ერთიც საორჭოფოდ ამათვალიერა, თითქო ფიქრობს, ეს ხურჯინიანი შეუშვა, თუ არაო. ერთიც აქეთ-იქით გაიხედა, ალბათ გაიფიქრა: საძაგელი დარია, საიმისო არავინ შემოვა. დაჯდეს, რას დავეძებო.

მე ბევრი არ დავაყოვნე და გავსწიეთ.

ბილეთი გამოვართვი და ვაგონის ერთ კუთხეში ჩემთვის მივიმალე.

თანამგზავრებს ეტყობოდათ, საშუალო მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. ასე ათას-ათას, ათას-ორას მანეთიანები. ორთავეს ქუდზედ ორ-ორი და ერთს კი მგონი სამი რაღაც სხვა-და-სხვა სახის ნიშანი ეკრა.

ერთი მათგანი ოც და თუთხმეტ-თექვსმეტის წლისა იქმნებოდა, ზორბა ტანისა, შავ ულვაშებიანი, წვერ მოპარსული, წინა კბილები, მგონი, ჩასმული ჰქონდა.

მეორე ხნით პირველზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა სახე მოტეხილი ჰქონდა. ქერა იყო, შუა ტანისა, მოკლე წვერ ულვაშებიანი, აქ-იქა ჭაღარაც გამოკრთოდა, ხმელ ხმელი, სახეზედ მოყვითალო ფერი გადაჰკროდა, და ისეთი ამღვრეული თვალებით იყურებოდა, რომ ერთ წამს ვიფიქრე: გადარეული არ იყოს-მეთქი. მაგრამ, როცა კარგად დავაკვირდი, შევნიშნე, რომ კაცი სრულს ჭკუაზედ იყო. მხოლოდ რაღაც მოწყენილობა და სამუდამოდ გაუმრთელებელი გულნატკენობა ეხატებოდა პირის სახეზედ. მისი უდროოდ დანაოჭებული, საკმაოდ განიერი შუბლი, ამტკიცებდა, რომ დიდი სულის კვეთება, მწუხარება და თუ გნებავთ უბედურებაც უნდა გამოევლო. სასოწარკვეთილება მაინც არ ეტყობოდა. ხანდახან ისეთი თვალებით გამოანათებდა, თითქო ვისიმე შთანთქმას ლამობსო. ისინი მე რაღა ყურადღებას მომაქცევდნენ როგორც შევატყე, ეგონათ, რომ მათი ლაპარაკი არ მესმოდა და მოურიდებლად გააგრძელეს დაწყებული საუბარი.

— მე იმ თავითვე ვიცოდი, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო,—სთქვა ქერა კაცმა.—ძმობას გეფიცები, ვიცოდი! მე მრწამს წინასწარი გრძნობა. სიკეთეს იმდენად არა,—და თუ რამ უბედურება ან უსიამოვნება მოახლოვებულია, უსათუოდ, რამე ნაირად წინწინვე იგრძნობს ხოლმე კაცი. მე-კი ამ შემთხვევაში ერთი შეცდომაც არ მომსვლია; გული წინდაწინვე მიგრძნობს ხოლმე; იმ უბედურ შემთხვევაშიაც, რომელმაც ჩემი სიცოცხლე შუაზე გაჰყო, ასე მოვიდა.

წვერ-მოპარსული გულ-დადებით უსმენდა.

— ძმობას გეფიცები, რომ გავიხსენებ ყველა წინდაწინ გამოვლილ გრძნობას, სახტად დავრჩები საკვირველიცაა. წარმოიდგინეთ, ყმაწვილო, მაშინ მე ცოლის შერთვაზე სრულებით არც-კი ვფიქრობდი. ვიყავ ჩემთვის ერთი თავისუფალი ახალგაზრდა კაცი. ვმსახურებდი; ვალი არ მაწუხებდა და ვახჩი. ჯამაგირი, საკმარისი, თითქმის მეტიც მქონდა. გული და სინიდისი ჩემი, შედარებით, წმიდა იყო. საყოველთაო შურიანობას და პირმოთნეობას სრულებით დაბუდება ჩემში ჯერ ვერ მოესწრო.

ერთხელ, არ მახსოვს, აპრილი იყო თუ მაისი,—ქერა კაცმა შუბლზედ ხელი მოისვა და მერე მუხლებზედ დაიცაცუნა,—დავდივარ ჩემთვის რკინის გზის სადგურის წინ ქვაფენილზედ და შევიხედე, ერთი კაცი წინ შემეფეთა. ერთმანეთს შევხედეთ. თვალი თვალს გავუყარეთ და მართალი გითხრა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. გულმა ცემას მოუხშირა, სულიც ოდნავ შემიგუბდა. სახეზედაც წამოვწითლდი. თან მრცხვენოდა, თან მეშინოდა. მერე რაო? რისთვის? რა მიზეზით? ვერ მივხვედრილვიყავი და ეს უფრო მაბრაზებდა.

ამ კაცს ჩემ სიცოცხლეში პირველად ვხედავდი. არ ვიცოდი, ვინ იყო, სადაური, რა ჯურის, გვარის, თანამდებობის, რჯულის, მიმართულების?.. გარეგანი შეხედულობა ურიგო არა ჰქონდა. კაცი მაღალი, ლამაზი პირის სახისა, გემოვნებაზედ ჩაცმულ დახურული. ჩემთან მას არავითარი კავშირი არ აერთებდა. მაინც პირველ დანახვისთანავე არ მომეწონა. ბინდ-ბუნდად ვიგრძენ, რომ ამ კაცს ჩემთან ოდესმე უსიამოვნება მოუვიდოდა. გული მითხრობდა: დღეს ან ხვალ ერთმანეთს ანგარიში უნდა გავუწიოთო.

ის კაცი თამამად დადიოდა, კმაყოფილად იყურებოდა. აქა იქ ნაცნობებსაც სალამს აძლევდა ხოლმე. ერთ ორ ქალს ხელიც ჩამოართვა. ბოლოს ერთი ნაცნობი სასამართლოს მოხელე შეხვდა, დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი, ლურჯ სათვალებიანი, მკლავი-მკლავს გაუყარა და ნაზად გადახრილი, რადგან დაბალი კაცი ვერა სწვდებოდა, ქვა-ფენილზედ სეირნობდა. თან ცოტად, განზრახ მოიკოჭლებდა ხოლმე.

მეც ვსეირნობდი. ჩაცმა-დახურვით მას არ ჩამოვუვარდებოდი. ცოდნით და სწავლა-განათლებით, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჩემზედ უკეთესი არა ყოფილიყო... მე-კი რაღაც დამცირებულად და შეურაცყოფილად ვგრძნობდი ჩემს თავს მის დანახვაზედ...

ვაგონი ვეტცელის სასტუმროს მიუახლოვდა და შეჩერდა. ერთმა ახალგაზრდა, უფერულმა წვრილ-წვრილმა, ავარიან-კარგად ჩაცმულმა ქალმა, ვაგონის კარი შემოაღო. ქერა კაცმა ერთი ალმაცერად შეჰხედა თავისი ამღვრეული თვალებით და ლაპარაკი შესწყვიტა.

ქალმა დაჯდომა ვერ მოასწრო, რომ კონდუქტორი ზედ დაადგა.

— გადასაჯდომი რიყისკენ,—ჩუმად უთხრა

სათესი ვენახითურთ; ზოგიერთი სულ უმამულო გლეხი იძულებულია აიღოს იჯარით სხვისი მამული, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ გვარად მამულის ხმარება ფრიად მცირე სარგებლობას აძლევს გლეხს.

ამნაირად კახეთის გლეხ-კაცობა, შედარებით რაჭველებსა და მთხევეებთან, არა ნაკლებ იძულებულია დასთმოს თავისი შებოლილი სახლის კერა და სადმე გადაიხვეწოს ლუკმა პურის მოსაპოვებლად.

თუ გადასახლებას მათში ჯერ ფესვი ნაკლებად აქვს გადგმული, ამის მიზეზი ის არის, რომ კახელი ჯერ-ჯერობით მტკიცედ არის მიკერებული თავის ერთ მტკაველ საკუთარს ადგილზედ; კახელს სხვაგან გადასახლება, არამც თუ უხერხულად, თითქმის თავის რწმუნების წინამდეგად და ცოდვადაც-კი მიაჩნია. მაგრამ, ვსთქვათ, ცხოვრების ულმობელმა გარემოებამ დასძლია, ვეღარ გაუძლო სიღარიბეს და მოინდომა სადმე საუკეთესო ალაგისაკენ გამგზავრება. მერე განა ადვილი საქმე ამ სურვილის შესრულება? რუსეთიდგან ჯერ ტფილისში ვერ მოუხერხებია ჩამოსვლა მიმოსვლის სიძნელის და სიძვირის გამო სამუშაოს საშოვრად და ცოდვილით ჩრდილო-კავკასიისა და ციმბირისაკენ გადასახლება *) აგრე ადვილი მოსახერხებელია? მაგრამ, ვსთქვათ, ამასაც არ შეუშინდა და გაემგზავრა სადმე დასასახლებლად, მერე, სად უნდა დაესახლოს? ვისგან უნდა მიიღოს ამ საქმეში რჩევა-დარიგება; ვინ იქნება მისთვის გზის მაჩვენებელი და ვინ გაუწევს ზნეობრივ, თუ ნივთიერს დახმარებას?—ვგონებ არავინ...

დღეს მთელ თერგისა, ყუბანისა და დაღესტნის ოლქებში, აგრეთვე აზოვისა და დონის მხარეში 1,600-მდის კომლი ქართველი მცხოვრები ირიცხება. 12%-ს გარდა, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის სხვა-და-სხვა მაზრიდგან გადმოსახლებულა, დანარჩენნი მთლად რაჭისა და დუშეთის მაზრიდგან არიან.

ამ 1,600 კომლ მცხოვრებთაგან 800 კომლი მოსახლეობს სხვა-და-სხვა „სტანიცებსა“ და სოფლებში.

ამათ აქვთ ვაი-ვაგლახით შეძენილ საკუთრებად სამოსახლო ადგილი სახნავ-სათეს მიწებითურთ, თვითეულს საშუალო რიცხვით არა უმეტეს დღიურ ნახევრისა. ამათი მამულები მცირედ-ნაყოფიერია და იმდენს მოსავალსაც არ იძლევა, რომ ნახევრად მაინც ეყოთ სარჩოდ. დანარჩენ 800 კომლის ნახევარი ე. ი. 400 კომლი მოჯამაგირე, სხვა-და-სხვა ხელობის მცოდნე, სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მსახურობს და დღიურ მუშაობას მისდევს. ისინი ქალაქ ადგილებში სცხოვრობენ; სულ მცირეა მათ შორის რიცხვი იმისთანებისა, რომელთაც საცხოვრებელი ბინა საკუთრებად შეუძენიათ; დანარჩენ უმრავლესობას დაქირავებულ სახლებში აქვთ თავი შეფარებული.

დარჩა 400 კომლამდე კიდევ. ესენი მუდამ აქეთ-იქით დადიან და ბედის ძებნაში არიან, დაუდგომელ ცხოვრებას ატარებენ, სხვებთან შედარებით ამათი მდგომარეობა უფრო აუტანელია. საცოდავნი, დღეს ერთ ალაგზედ დასახლდებიან, ხვალ—მეორეზედ, ხვალზევით— მესამეზედ და ასე დაუსრულებელია მათი გადასახლებ-გადმოსახლება. ან კი რა ჰქნან, განა იმათი ბრალია?

უპატრონობისა და უხელმძღვანელობისა გამო გაჭირვებულნი, ხშირად, იმისთანა ადგილს ამოირჩევენ საცხოვრებლად, სადაც სასტიკი ჭაობაა, და ადგილი სულ უნაყოფოა და ტყე და წყალი არ არის. ამ ვაი-ვაგლახს ბევრი ვერ იტანს, ზოგი მათგანი თუ უდრო-უდროოდ ესალმება წუთისოფელს, ზოგი, გუდა-ნაბად ზურგზედ წამოკიდებული, ისევ იქით მიემგზავრება, საიდგანაც პირველად გადმოსახლებულა; ზოგი უკან დაბრუნებას რჩეობს სამშობლო მხარისაკენ, და ციმბირისაკენ გამგზავრებას.

ამას წინად 14 კაცი ციმბირის მხარისაკენ ირკუტსკის გუბერნიაში, მიემგზავრებოდა, იქნება იქ მაინც ბედმა გაგვიღიმოსო. დარწმუნებინათ, რომ იქ საცხოვრებელ წყაროს მოპოვებაც ადვილი არის და დასასახლებლად მიწებიც ბლომადაო. ჩვენ ვურჩიეთ, ნუ იზამთ მაგ საქმეს, ცარიელ-ტარიელებს, იქაურ ამბავისა და გარემოებისა უცოდინართ. შესაძლებელია, უფრო მეტი ვაივაგლახი შეგემთხვეთ მეთქი. იმათ მიპასუხეს: ამაზე მეტს ტანჯვას, რასაც ამ ჩრდილო კავკასიაში გადმოსახლების დღიდგან ვითმენდით, ვგონებთ, ჯოჯოხეთშიაც არ ვნახავთ, არამც თუ სადმე ციმბირის მხარესაო.

ჯიუტი მგზავრები მაინც გაუდგნენ გზას.

რას ამტკიცებს ყოველი ესე, თუ არ იმას, რომ დიდი სივიწროვე ყოფილა მამულებისა კავკასიაში. დღემდის-კი ჯეროვანი ყურადღება არვის არ მიუქცევია ამ სამწუხარო გარემოებათათვის. იესო ქრისტემ ერთი გზა დაბნეული ცხვარიც კი შეიბრალა და ბრძანა მისი მოძებნა, რათა ან ან კლდეზედ არ გადავარდნილიყო, ან ნადირის მსხვერპლი არ შექმნილიყო და ნუ თუ ჩვენ რამდენისამე ასის კომლის ტანჯვა-ვაება არაფრად არ უნდა მივიჩნიოთ?!

ვინც დაწვრილებით სცნობს ჩრდილო კავკასიაში გადმოსახლებულთა არა სასურველ მდგომარეობას, დარწმუნებული ვარ, ყველას გული დაეწვის, ყველას თვალთაგან სიბრალულის ცრემლი წამოუვა და გულის ტკენით იტყვის: „თუ თავისუფალი ადგილებია სადმე კავკასიაში უმამულო გლეხთა დასასახლებლად, სამართლე მოითხოვს უპირველესად დაეთმოთ კავკასიაშივე მყოფ უმიწა-წყლო გლეხკაცობას, რადგან იგინი უფრო აიტანენ კავკასიის ჰავას და უკეთაც შეემუშავებენ იქაურს მამულსაო“

ე. კახელი.

---

*) ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს უმამულო გლეხ-კაცისათვის ბედა ურგუნებია დასასახლებლად მხოლოდ ჩრდილო-კავკასია და ციმბირის ზოგიერთი ადგილები. ავტ.

ჩვენებური ამბები

სოფ. სამტრედია. სოფ. სამტრედია მდებარეობს სადგური სამტრედიიდან ერთის ვერსის მანძილზედ აღმოსავლეთით, მდინარე რიონის მარცხენა მხრით. უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა სახაზინო გლეხებია. აქაური მცხოვრებნი შეძლებულად ითვლებოდნენ შედარებით სხვა მახლობელ სოფლების მცხოვრებთან, რადგანაც მიწის ნიადაგიც ხელს უწყობდათ. მე გამიგონია, რომ ისინი თურმე საბატონო გლეხებზედ წინეთ ქალებსაც-კი არ ათხოვებდნენ და, თუ ათხოვებდნენ, ძალიან იშვიათად. სოფ. სამტრედიის მცხოვრებნი თავიდან მიწის მუშანი არიან. მოჰყავთ სიმინდი და კარგს სარგებლობასაც აძლევდათ დღემდის, მაგრამ დღეს იმანაც იკლო: მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ერთ და იმავე ადგილზედ მუდამ სთესენ სიმინდს; აქ დასვენება არ იციან ნიადაგისა. მოსავლის შემცირების მეორე მიზეზი ის არის, რომ მდინარე რიონი აქცევს ადგილებს სამტრედიელებისას და უმატებს მეორე მხარეს, რომელიც უჭირიათ თავად მიქელაძეებს; ამ უკანასკნელებთან სამტრედიელებს მუდამ დავა აქვთ ამ რიონისგან წაღებულის მიწის შესახებ. მართლაც რომ ძალიან, სისწრაფით ირღვევა მარცხენა ნაპირი რიონის წყალობით, და ემატება მარჯვენა ნაპირს, თავადი მიქელაძეებისას. ისე რომ გასტანოს წელს, მთელ სამტრედიელებს აჰყრის ეს დაუღალავი მტერი. ამ გარემოებას მიაქცია ხაზინამაც ყურადღება და აგერ, მგონი ათ წელიწადზედ მეტიც იქნება, რაც საჩივარი დაიწყო თავ. მიქელაძეებს, რომ რიონიდგან წართმეული ადგილები დაებრუნოს სამტრედიელებს. თუმც საქმე ცოტა შეგვიანდა, სამტრედიელებს მაინც იმედი აქვთ, რომ მდინარე რიონიდგან წართმეული ადგილები, ადრე თუ გვიან, დაუბრუნდებათ მათ. თორემ იძულებულნი იქმნებიან სადმე სხვაგან გადაესახლონ, სანამ რიონი იმათ სახლებსაც წაართმევდეს. მართლაც სამზღვარი მდინარე რიონია, და, აბა როგორ შეიძლება საზღვრად დაინიშნოს იმისთანა მოძრავი დაუნდობელი მდინარე, როგორიც რიონი არის, რომელსაც შეუძლიან დღეს ერთი მხარე გააღარიბოს და ხვალ მეორე. ნუთუ თავ. მიქელაძეებს ვერ წარმოუდგენიათ, თუ დღეს რიონი იმათ ამდიდრებს... ხვალ შეიძლება იმათ მიჰყოს ხელი და გააღარიბოს?! უმჯობესი იქნებოდა, შეთანხმებოდნენ მესაზღვრეებთან და მიმატებული მიწა დაებრუნებინათ პატრონებისათვის, და თუ იმათაც მოსტაცოს, მათაც მიიღონ.

წინად სამტრედიაში ვაზიც კარგად ხარობდა და ღვინოც ბლომად მოდიოდა, კარგი ღირსებისაც იყო. ამბობენ თვითეულ ძირს მაღლარს დღეში ორი მკრეფავი უნდებოდაო. სამტრედიელები ძველებურ—მამა-პაპურად განაგრძობენ მუშაობას. თუ უწინ კარგი ღვინის მოსავალი იყო, ეხლა რა უშლის ხელს? თუ ძველი ნაშენი ვენახები გახმა და დატყდა, რატომ ახალი არ დარგეს და არ გააშენეს, რომ ახალ ნაშენს მოეცა ნაყოფი?

საჭიროა, ვინმე შეგნებული კაცი, დაიწყებდეს ვაზის მოშენებას, ნამყენისას ამერიკულ ვაზზედ, და ამით უჩვენებდეს მაგალითს სხვებს, რომ იმათაც გადიღონ და განაახლონ ვაზის მოშენება. კარგი იქნება საქარის საჩქოლის უფროსი ბატ. სტაროსელსკი მიაქცევდეს ყურადღებას და გააკეთებდეს აქ სამტრედიაში პატარა საჩქოლეს.

არ მოიპოვება აქ იმისთანა ოჯახი, რომ ერთი კვალი ტყე ვისმეს გააჩნდეს. ტყეები სულ მოსპეს აქა და შეუდგნენ ახლა ეზოებში ვეებერთელა მამა-პაპათაგან დატოვებული ხეების მოჭრას, რომელთაც მიჰქონდათ მშვენიერი ნაყოფები, მაგალითად: ვაშლი, მსხალი, ბალი და სხვა. ჰკითხავდით, რად შვრებით ამას და ან რატომ სხვას ახალს არ რგავთო? მოგიგებდათ: ხილმა ბოვშვები მოგვიწამლა: ციება, ცხელება და სხვა-და-სხვა სენი გაგვივრცელა ოჯახშიო, აგერ 4—5 წელიწადი იქნება, რაც აქ გამოცხადდნენ სხვა-და-სხვა მხარეებიდგან მეხილეები და თუ ვისმეს დარჩენოდათ შემთხვევით ხეხილები, კარგს ფასად გაიყიდა ხილი. ეხლა-კი იგრძნეს, რა სასარგებლო ყოფილა ხეხილი და შეუდგნენ კიდეც მოშენებას; კარგი სარგებლობაც მოაქვს, ასე რომ ეხლა სამტრედიიდგან ძალიან ბლომად გადის ხილი. ჭაობებს და დამდგარ წყლებს წრეტენ აქ და აშრობენ, ამიტომ ჰაერიც ცოტათი გაშრა და გაუმჯობესდა.

სამტრედიელ-ქიათურელი.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. „Temps“-ის სოფიელ კორესპონდენტს ზედ-მიწევნით აღუნიშნავს ავსტრია-უნგრეთის გამარჯვება ალბანიაში და ეხლა ამის მიზეზსაც გადმოგვცემს. ბერლინის ტრაქტატით—ყველა სახელმწიფოს უფლება აქვს იზრუნოს და მფარველობა გაუწიოს ოსმალეთში მობინადრე თავის ქვეშევრდომს, მაგრამ ამ უფლებით ყველაზედ უკეთ ისარგებლა ისევ ავსტრია-უნგრეთმა, რომელმაც არამც თუ კათოლიკეებსა, მუსლიმანებზედაც მოიპოვა გავლენათ. საქმე ისაა, რომ ავსტრიელები სრულიადაც არა სცდილობენ აღმოფხვრან ცუდი ზნე-ჩვეულება, რომელსაც ფეხი გაუდგამს ამ ქვეყანაში. იგინი არ აფრთხობენ თავის „მეგობრებს“ სხვა-და-სხვა ცვლილება—რეფორმებით; მხოლოდ იმასა სთხოვენ, რომ მხარი მისცენ საერთო მტრის—სლავიანების—წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს—იგივე პოლიტიკაა, რომელმაც საუცხოო ნაყოფი მოიტანა ჰერცეგოვინასა და ბოსნიაში. იგივე ტაქტია, რომელიც პრინციპად აღიარა მეტერნიხმა. ჯერ კიდევ 1857 წელს სკუტარში მყოფი საფრანგეთის კონსული სწერდა თავის მთავრობას—მეტად საჭიროა ამ ქალაქში ლათინური სკოლა დავაარსოთ, რათა კათოლიკე—ალბანელები მარტოოდენ ავსტრიის რომაელ-კათოლიკეთა გავლენის ქვეშე არ იმყოფებოდნენო.

საუცხოოდ დარჩეული მისიონერები ადგილობრივ მკვიდრთაგან—საუკეთესო იარაღია ავსტრიის პროპაგანდისათვის. იგინი სრულიადაც არ ამჟღავნებენ ავსტრიის ფარულ აზრებს, მაგრამ არც ერთ მარჯვე შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ ქება-ხოტბა არ შეასხან იმპერატორ ფრანც-იოსებს და არ მოაგონონ დამსწრეთ, რამდენად უანგაროდ უყვარს მას ალბანია.

1899 წელს, აგვისტოს 6-ს, იმპერატორ ფრანც-იოსების სახელწოდების დღეს, უსკიუბში კათოლიკეთა ეკლესია აკურთხეს. ამ დღესასწაულს დაესწრო მრავალი ალბანელი—ქალი და კაცი—და ისეთი აღტაცებული დემონსტრაცია გამართეს ფრანც—იოსების პატივსაცემლად, როგორიც ალბად თვით ავსტრიაშიაც იშვიათად ხდება. თუმცა ძნელად დასაჯერია, რომ ოსმალეთის დიდ ციხე-სიმაგრეში ოსმალ ქვეშევრდომთა შორის ამგვარი რამე მომხდარიყოს, მაგრამ ნამდვილი-კი გახლავთ.

განა მარტო უსკიუბში ხდება ესა. ბოსნიისა და ჰერცეგოვინას დაჭერის შემდეგ მომიჯნავე სანჯაყებში—თაშლიჯას, იპეკს და ახალ-ბაზარში მდ. ლუბას დაყოლებით ქ. ბერანამდე,—ჩაყენებულნი იყვნენ ავსტრიის მეციხოვნენი, რომლებიც დღემდე იქვე იმყოფებიან. სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვარსაც ხომ ფრანც-იოსების მხედრობა იცავს; თუმცა იქვე მეზობლად, თაშლიჯაში ოსმალოს მეციხოვნენი უდგანან, მაგრამ მეგობრულად სცხოვრობენ და,—ავსტრიის მთავრობის ნებართვით ექვემდებარებიან ოსმალეთის ფაშა სულეიმანს,—ოსმალეთის მხედრობის მე-3 კორპუსის საგენერალო შტაბის ოფიცერსა და ამავე დროს ავსტრიის საგენერალო შტაბის ოფიცერს!! — რომელიც ორნაირ ჯამაგირს ღებულობს.

ბერლინის ტრაქტატის მე 25 მუხლის ძალით, ავსტრიას უფლება აქვს, ახალ-ბაზარში იყოლიოს მეციხოვნენი; მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავარი ძალა ავსტრიის მხედრობისა ჩერნოგორიის საზღვარს გაჰყოლია, მდ. ლიმას პირად და ყველა მარჯვე სამხედრო ადგილები დაუჭერია. ავსტრიელები ბევრად გადასცდენ ბოსნია-სარაის ვილაიეტის საზღვარსა და სადარაჯოები დაჰმართეს კულაშინს, ბელოპოლსა, ბერანსა და ტერგოვიშტებში, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ ზემოხსენებულ ვილაიეტს.

აქ ხონთქარი მხოლოდ გამგის სახელს ატარებს, თორემ ყოველსავე ავსტრიელები განაგებენ: გზების გაყვანა, სამართლის გაჩენა, დაცვა-პატრონობა მკვიდრთა, ალბანელ მეთაურთა და ოსმალეთის მოხელეთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მორიგება, ერთის სიტყვით, ყოველივე ავსტრიელთა ხელშია.

არც-კი არავინ აქცევს ყურადღებას, რომ 20 კილომეტრით გადააბიჯა ავსტრიამ დანიშნულ საზღვარს ხონთქრის სამფლობელოში; პირიქით, სრულიად კმაყოფილნი არიან მცხოვრებნიც და ოსმალეთის ადგილობრივი მთავრობაც.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 მარტს

ბათუმი. 27 მარტს ხუთი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი შევიდა შხიანცის ნავთის სავაჭრო კანტორაში, გაადებინეს გამგეს კასა, წაიღეს 1500 მანეთი და გაიქცნენ. ბოროტ მოქმედთ მედგრად სძებნიან.

როსტოვი დონზედ. მოსავალს ცუდი პირი უჩანს. 27 მარტს წვიმა მოვიდა. მოელიან, რომ ყოველგვარ სურსათზედ ფასი აიწევს.

სოჭი. 27 მარტს დღისით, ორმა ბოროტმოქმედმა იმერელმა გაძარცვა და დასჭრა დამბაჩით გრაფ შერემეტევის მოურავი მორკაიტისი, რომელიც ეტლით მიდიოდა, ავაზაკნი გაიქცნენ და თან წაიღეს 500 მანეთი. საათი და ქაღალდები. ძებნას შეუდგნენ.

სტამბოლი. ალექსანდრიით მოსულ გემებისათვის დადგენილი კარანტინი გაუქმებულია.—მიტროვიცის კონსული შჩერბინა გარდაიცვალა 25 მარტს საღამოს.

პეკინი. მანჯურიის ხელ-შეკრულობის ძალით 26 მარტამდის უნდა გაეყვანათ ჯარი მანჯურიის მეორე პროვინციიდან. რუსებმა გაჰყავთ თავისი ჯარი: ერთი ნაწილი ამ ჯარისა პორტ-არტურისაკენ გაემართა, მეორე ნაწილი კი რკინის გზის დაყოლებით სადგურებისკენ, ჯარი რომ გაჰყავთ ადგილობრივი მართველობა ისევ ჩინელთ გადაეცა. პრინცმა ჩინგმა მადლობა გამოუცხადა რუსეთს, ხელ-შეკრულობის თანახმად მოქმედებისათვის. ის ამბავი, თითქო 20.000 კაცი რუსის ჯარი მდინარე იალუზე იყოს თავ-მოყრილი, გადაჭარბებულია.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ფიცმორისმა გამოაცხადა, იმედი მაქვს რომ მთავრობა დიდი ყურადღებით ეკიდება მაკედონიის საკითხსაო. ბალფურმა პასუხი გასცა, და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მაკედონიაში საქმის გარემოება ძლიერ აწუხებს მთავრობას. რედმონდის კითხვაზედ, კრანბორნმა უპასუხა, რომ მთავრობამ წინადადება წარუდგინა ოსმალეთს მაკედონიის მკვიდრთა მდგომარეობის გაუმჯობესობის

სიცივისაგან გათოშილმა ქალმა.

— ეს რიყისკენ არ მიდის, ქალბატონო,— მიუგო კონდუქტორმა და ვაგონის ჭერ ქვეშ გამსწვრივ გაბმულ ბაწარს ხელი მოავლო.

ზარმა დაიწკრიალა. ვაგონი შეჩერდა.

ქალმა უკმაყოფილო სახე მიიღო და საჩქაროდ გავიდა. ქერა კაცმა თვალი გააყოლა.

— ნ... და...—გაჭიანურებულად და მაგრა ამოქშენით წარმოსთქვა პირ-მოპარსულმა.

— მერე ის იყო და ის,—გულდამშვიდებულად გააგრძელა ქერა კაცმა.—ძლიერ მაკვირვებდა, რად მომივიდა ასე იმ უცნობ კაცის დანახვაზედ; მაგრამ ბევრი ყურადღება არ მიმიქცევია. მერე ხშირად არ შემხვედრია ის კაცი და, თუ-კი შემხვდებოდა სადმე, მისი შეხვედრა ყოველთვის უსიამოვნებას მგვრიდა ხოლმე.

მერე, ის იყო და ის. რამდენიმე წელიწადი გავიდა და ცოლიც შევირთე. ეს-კია, რომ ცოლის შერთვა აჩქარებულად მომიხდა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამნაირი საქმე. ჯვარი დავიწერე. ეკკლესიიდგან პირდაპირ სიმამრის, უკაცრავად, სიდედრის სახლში (სიმამრს არ მოვსწრებივარ) წავედით. იქ ბევრი სტუმრები დაგვხვდნენ. ყველანი მილოცავდნენ, ხელს მართმევდნენ, მკოცნიდნენ, მეცნაურებოდნენ. სხვათა შორის, შევხედე... —აქ მწარედ ჩაიცინა ქერა კაცმა და მრისხანე თვალები გადაატრიალა...—შევხედე და წარმოიდგინე ჩემი გაოცება.—ის კაცი წინ არ გამომეჭიმა!..

სახელი, მამის სახელი და გვარი მითხრა.

— დიდად სასიამოვნოა-მეთქი, მივუგე და ხელი გავუწოდე. ნამდვილად უარესი უსიამოვნება მაშინაც არ გამომცდია, როცა ამ კაცის მეოხებით ნამდვილი უბედურება შემემთხვა.

პირ-მოპარსულ კაცს პირზედ ღიმი მოადგა.

— გიკვირს, ასე მშვიდად რომ ვლაპარაკობ?—სიცილით დაეკითხა ქერა კაცი.

— დრო, ეტყობა, ჩემო ძმაო, ყველაფერს გაასწორებს. მე ეხლა სრულიად დამშვიდებული გახლავარ და შემიძლია ობიექტიურად შევხედო საქმეს. ყველანი მხიარულობდნენ: მეც, ისიც, სხვებიც. ამ მხიარულობა-მუსაიფში შევიტყე, რომ ხშირი სტუმარი ყოფილიყო ის კაცი ჩემის სიდედრის სახლში. ვითომ ენათესავებოდა კიდეც. რაღაც „მიბოგილ-მობოგილს“ ჩამახავდნენ: მამის დეიდაშვილის-შვილს, თუ დედის მამიდაშვილის-შვილს, რაღაც ამის მაგვარს. ჩემ ცოლთან იმ ღამეს თამამად ეჭირა თავი, მასხარობდა, ოხუნჯობდა. ჩემ ცოლის დებს შენობით და საალერსო შემოკლებული სახელებით იხსენიებდა. ერთის სიტყვით, შინაური კაცი ყოფილიყო...

გაბედნიერებას მილოცავდნენ, მრავალ-ჟამიერს მიმღეროდნენ, ურას ყვიროდნენ. მეც ვიცინოდი, თავს ვუკრავდი. გულში-კი ცეცხლი მენთებოდა. ვგრძნობდი, ალი როგორ ძლიერდებოდა და მთელს ჩემს სხეულს ედებოდა. ჩემში იმ ღამესვე ეჭვი დაიბადა და ამ ეჭვს უტყუარი საბუთიც იმ ღამესვე დაედო. როგორღაც გადავხედე ჩემს მეტოქეს, იმან ჩემს ახალ ჯვარ-დაწერილს ცოლს შეხედა, მათი თვალები შეიყარნენ და ამ შეხედვამ მეც თვალი აღმიხილა. აი, შენი გაბედნიერებაც! ამ დღიდგან დაიწყო ჩემი ტანჯვა, რომელიც...

ვაგონი ვერის ხიდისაკენ მოსახვევში შეჩერდა.

ერთი მდიდრულად ჩაცმული სქელ-სქელი ქალი ქშენით შემოვიდა, კარებში ძლივს შემოეტია. უკან გრძელ ქურქში გახვეული უფერული შავ-შავი კაცი მოსდევდა და ისეთი თავმდაბალი და მორჩილი კილოთი ელაპარაკებოდა,—ქმარი უნდა ყოფილიყო.

ქალბატონი მძიმედ დაეშვა სკამზედ. ვაგონი კეთილ სუნნელებით აივსო. ეტყობოდა ქალბატონი ძვირფასს ნელ საცხებელს ხმარობდა.

ერთიც ზანტად ჩემკენ მოიხედა, მერე ქერა კაცს ისეთი გამომეტყველებით დააცქერდა, რომ ასე გგონია დიდი ხნის ნაცნობია და უკვირს, სალამს რად არ მაძლევსო.

ქერა კაცმა მის შემოსვლისათანავე ლაპარაკი შეწყვიტა და გზისკენ დაიწყო ყურება. წვერ მოპარსული ძირს იყურებოდა.

ქალბატონს ორივე ხელები მშვენივრად ქურქში დაემალა და ყელზედ რაღაც მოწითალო მხეცის ბეწვი ჰქონდა შემოხვეული. მარჯვენა ხელი ქურქდგან გამოიღო და ბეწვიანი საყელო გაისწორა. ნეკზედ და არათითზედ რამდენიმე ბრილიანტის თვლებიანი ბეჭედი ჩამოეცო.

ვაგონი ერთ ადგილას შეჩერდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, არ გაცივდეთ, ჩქარა გასწიეთ შინ, არ შეგცივდეთ! ყველანი მომიკითხეთ... ხვალ საღამოთი შემოვივლი. —მოისმა ქალის ნაზი ხმა და ვაგონის უკანა კარებში ერთი ახალგაზდა ქალი გამოჩნდა. იმასაც ორივე ხელები ქურქში დაემალა და კისერზედ შავი ბეწვი გადაეგდო.

მის ხმაზედ ქერა კაცი შეკრთა, თვალები საშინლად დააბრიალა. მის სახეზედ ზიზღი და შურის-ძიება გამოიხატა. უიმისოდაც მოყვითანო სახე, წმინდა სანთლისავით გაუყვითლდა და კარებში მდგომ, ლამაზ ქალს მრისხანედ შეაცქერდა, ტანი სიბრაზისაგან უცახცახებდა, საჩქაროდ ზეზე წამოვარდა, „ფუჰ“, ერთიც გააფურთხა და ვაგონიდგან გავარდა.

წვერ-მოპარსულმაც რაღაც მწყრალად წაიდუდუნა და უკან დაედევნა.

ქუჩაში თვალი გავაყოლე. ქერა კაცი უკან მოუხედავად თითქმის გარბოდა და პირ-მოპარსული უხაპროდ უკან მისდევდა და ხელს უქნევდა, თითქო ეუბნებოდა, მოითმინე, რას გარბიხარ, აქ მო, რა გითხრა... ღმერთმან, შენც და ისიც, ორივე ერთად ამოგაგდოსო!

თავზარდაცემული ქალი კარებში იდგა. სრულიად მოულოდნელი შეხვედრა იყო მისთვის. ქალი დაიბნა, არც იცოდა რა ექმნა, საით წასულიყო. მის გვერდით გაოცებულსავე კონდუქტორს ცალ ხელში საბილეთო ყუთი ეჭირა და მეორე ხელის ორი თითით ნახევრად მოხეული ბილეთი.

სქელმა ქალბატონმა თავი ძირს დახარა, მარჯვენა ხელი ისევ ქურქდგან გამოიღო და მკერდზედ ჩამოშვებულ ბეწვს წაუსვ-წამოუსვა. ბრილიანტი საუცხოვოდ ბრწყინავდა. კარებში მდგომ ქალმა დააპირა, წინ წაედგა ფეხი. მაგრამ ქალბატონს გადახედა, საჩქაროდ უკან გაბრუნდა და საუცხოვო სიმარჯვით ვაგონიდგან გადახტა.

— ვერ გამიგია, რა ამბავია? ჩუმად და აუჩქარებლად წარმოსთქვა ქურქიანმა და გაკვირვებით ქალბატონს შეჰხედა.—იმ კაცმა ის ქალი რად გალანძღა, ჩვენც თავზედ რად გადაგვაფურთხა. ეს სრულებით პატიოსნება არაა, ბატონებო. რაც უნდა იყოს, საზოგ...

— შენც ერთი გააბამ ეხლა!—უკმაყოფილოდ მიუგო ქალბატონმა და შუშაბანდში ცნობის-მოყვარეთ გაიხედა, მაგრამ ამ დროს ხიდზედ შევსულიყავით და აბა რას დაინახავდა.—განა არ იცანი ის ქერა კაცი? დაეკითხა ქმარს.

— არა,—გაკვირვებით მიუგო ქურქიანმა.

— ეს ის მოხელეა, არ გახსოვს? სამი წლის წინად ცოლი რომ გაექცა.. ეს მისი ცოლია, მე ვიცნობდი ერთ დროს ორთავეს. ვიღაც ნაცნობი იყო, თუ ნათესავს რომ გაჰყვა, თავის დროზედ ძლიერ საინტერესო ამბავი იყო, გაზეთშიაც ეწერა. საუცხოვო შეხვედრაა, მე შენ მოგახსენებ.

— ჰო!—წარმოსთქვა ქურქიანმა და, ცოტა არ იყოს, შეშინებულის სახით შეჰხედა ქალბატონს, მერე ვაგონს თვალები მიმოავლო. კონდუქტორი უკან კარებთან გარედ იდგა და სიცივისაგან თვალებს ხუჭავდა. მე ერთ კუთხეში მიკრუნჩხული ვიყავი.

ქალბატონმა ისევ გამოაჩინა ბრილიანტიანი ხელი და გულგრილად ჩაიტიტინა: „მარია ივანოვნას ახალ ამბავს მაინც ვეტყვი. უსიამოვნო შეხვედრაა, უსიამოვნო!

კოდრა პატრია.

შესახებ და, რაც შესაძლებელია, ყველაფერს სცდილობს, რომ რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთს მის. წრაფებათ მხარი დაუჭიროს. ინგლისის მთავრობა ახლა მსჯელობს იმის შესახებ, სასურველია თუ არა, გააგზავნოს ოსმალეთის ჯარს ინგლისელი ოფიცრები, რომ ოსმალებმა ზომიერებას არ გადააცილონ.

მთავრობას ახლა ბრიტანიის ელჩთან აქვს მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აასრულოს ეს თავისი განზრახვა.

სტამბოლი. პორტას შეატყობინეს, რომ მაკედონიის კომიტეტები აპრილის 2-სათვის საერთო ამბოხებას ამზადებენ მაკედონიაში.

სოფია. თავადი წაბრძანდა ფილიპოპოლში, სადაც ამ დღესასწაულებს გაატარებს.

მოსკოვი. მისი დიდებულების კარისაგან გამოცხადებულია კრება დიდ კრემლის სასახლეში, რადგან მარტის 30-ს დანიშნულია უმაღლესი გამობრძანება უსპენსკის სობორში.

იალტა. სევასტოპოლიდგან ჩამობრძანდა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლით და შვილებით და წაბრძანდა აიტოდორში.

29 მარტს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებითურთ 28 მარტს მოსკოვს წაბრძანდნენ.

– შინაგან საქმეთა მინისტრმა აუკრძალა გაზეთს „Der Freund“-ს კერძო განცხადებათა ბეჭდვა სამის თვის ვადით,—ხელმწიფე იმპერატორმა ინება და უმაღლესად დაამტკიცა, რომ სარატოვის ეპარქიის ვიკარი ეპისკოპოსი გერმოგენი იყოს სარატოვისა და ცარიცინის ეპისკოპოსად.

კიშინევი. „Бессаробщъ“-ი ამბობს, რომ პატრიარხ-კათალიკოსი მიკირტიჩი კვირაცხოვლობას მობრძანდება კიშინევსაო. შესდგა კომისია მის მისაგებებლადა და მისაღებად.

ხარკოვი. დონის მიდამოთა შორის 1902 წელს შემუშავებულ იქმნა 642 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი, 52 მილიონით ნაკლები შარშანწინდელზედ. 14 მილიონ ფუთით ნაკლები იქმნა გატანილი რკინის გზებით.

სოფია. შჩერბინას სიკვდილმა საყოველთაო მწუხარება გამოიწვია.

ბელგრადი. შჩერბინას სიკვდილმა ყველა ააღელვა. გაზეთები გულ-მტკინვეულობით სავსე წერილებს ჰბეჭდავენ განსვენებულის შესახებ. მეფე-დედოფალმა ბრძანეს შეამკონ მისი კუბო გვირგვინებით და ზედ წააწერონ: „დედოფალი და მეფე სერბიისა ამკობენ ამ გვირავინით ქველობით სავსე შჩერბინას კუბოს“. მოქალაქენი პანაშვიდს ახდევინებენ საკრებულო ტაძარში. რუსთა მისიას მრავალი წერილები მისდის სამძიმრისა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^1/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . მამულთა ბანკისა . . .	95$^3/_8$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	437$^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335$^1/_2$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	297 წვ. გაყ.
% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4$^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	340 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	201 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდგან** 15 **მაისამდე**.

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

სია

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავად-აზნაურთა კრებაზედ.

I

თავად-აზნაურნი, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საქმეთა განხილვაში და არჩევანში.

ა, პირადად.

1, თელავის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი.

2, გენერალ-ადიუტანტი, გენერალი კავალერიისა თავ. ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე.

3, გენერალ-ლეიტენანტი თავ. გიორგი გიორგის ძე ერისთავი.

გენერალ მაიორნი:

4, თავ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე.

5, თავ. დიმიტრი სოლომონის ძე მაყაშვილი.

6, თავ. ვლადიმერ აფანასეს ძე მაყაშვილი.

7, თავ. ალაფონი გარსევანის ძე ვახვახიშვილი.

8, თავ. კონსტანტინე სოლომონის ძე რუსიევი.

9, ნიკოლოზ რევაზის ძე გოგნიევი.

10, თომა გიორგის ძე ჯომარჯიძე.

11, ეგერმეისტერი მის უდიდებულესობის კარისა თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მურან-ბატონი.

12, კამერ-იუნკერი მის უდიდებულესობისა სტატსკი სოვეტნიკი თავ. ივანე როსტომის ძე ანდრონიკაშვილი.

13, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი.

14, სტატსკი სოვეტნიკი თავ. ლევან გიორგის ძე ჯანდიერი.

პოლკოვნიკები:

15, თავ. ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილი.

16, თავ. სპირიდონ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი.

17, თ. ესტატე სულხანის ძე ვახვახიშვილი.

18, მიხეილ სპირიდონის ძე ჭავჭავაძე

19, თავ. დავით გიორგის ძე აბელოვი.

20, ილია რევაზის ძე გოგნიევი.

კოლეჟსკი სოვეტნიკები:

21, თავ. მაკარი რომანის ძე ჭავჭავაძე.

22, თავ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე.

23, სიმონ ლუარსაბის ძე მელვინეთხუცესოვი.

პოდპოლკოვნიკები:

24, თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძე მაყაშვილი.

25, გიორგი მერაბის ძე მაჭავარიანი.

26, ზაალ ალექსანდრეს ძე მაჭავარიანი.

27, ქაიხოსრო დავითის ძე მაჭავარიანი.

28, ნიკოლოზ გიორგის ძე აბელიშვილი.

29, თავ. მიხეილ დიმიტრის ძე ჯანდიერი.

30, მაიორი თავ. ზაქარია თეიმურაზის ძე ჯაფარიძე.

კოლეჟსკი ასესორები:

31, თავ. ალექსანდრე ზალის ძე ჩოლოყაშვილი.

32, თავ. ვახტანგ გიორგის ძე ბარათოვი, დედის რწმუნებით.

როტმისტრები:

33, თავადი რევაზ გრიგოლის ძე მაყაშვილი.

34. თავადი არჩილ დავითის ძე ჭავჭავაძე.

35, შტაბ-როტმისტრი თავადი ნიკოლოზ მიხეილის ძე ჭავჭავაძე.

კურს დამთავრებულნი უმაღლეს სასწავლებელში:

36, თავადი ილია გიორგის ძე ჯორჯაძე.

37, თავადი სიმონ რევაზის ძე ვახვახოვი.

38, თავადი დავით გიორგის ძე ჯორჯაძე.

39 თავადი იოსებ რევაზის ძე ვაჩნაძე.

40, თავადი მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძე.

41, იოსებ პაატას ძე მგალობლოვი.

საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულნი:

42, თავადი არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე.

43, თავადი ალექსანდრეს რევაზის ძე ვახვახოვი.

44, თავადი იოსებ ილიას ძე ჯანდიერი.

45, თავადი ვლადიმერ ივანეს ძე ჯანდიერი.

კორნეტები:

46, თავადი გიორგი სოლომონის ძე ყარალაშვილი.

47, თავადი გიორგი ზაქარიას ძე ჯორჯაძე.

48, პორუჩიკი თავადი ზაქარია არჩილის ძე ჭავჭავაძე.

გუბერნსკი სეკრეტრები:

49, თავადი გრიგორ რევაზის ძე მაყაშვილი.

50, თავადი დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილი.

კოლეჟსკი რეგისტრატორები.

51, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

52, თავადი იოსებ ადამის ძე ქობულოვი.

53, რევაზ იოსების ძე ანდრონიკოვი.

პრაპორჩიკები:

54, თავადი ნიკოლოზ გულბაათის ძე ჭავჭავაძე.

55, თავადი რევაზ მიხეილის ძე ყარალაშვილი.

56, თავადი ევგენი დავითის ძე ქობულაშვილი.

57, თავადი დიმიტრი იოსების ძე ჭავჭავაძე.

58, თავადი სულხან გიორგის ძე ჭავჭავაძე.

59, თავადი იურია მიხეილის ძე ჭავჭავაძე.

60, თავადი მიხეილი ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი

61, თავადი ვასილ ნიკოლოზის ძე ავალოვი.

62, თავადი სოლომონ რევაზის ძე ჯანდიერი.

II

თავად-აზნაურნი, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ საქმეთა განხილვაში.

სტატსკი სოვეტნიკი:

1, თავადი ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე.

პოლკოვნიკი:

2, თავადი ივანე არჯევანის ძე მაყაშვილი.

პოდპოლკოვნიკები:

3, თავადი დიმიტრი ვასილის ძე ვახვახიშვილი.

4, თავადი ივანე როსტომის ძე მაყაშვილი.

5, თავადი ვასილ დიმიტრის ძე მაყაშვილი.

6, თავადი ილია ზაქარიას ძე მაყაშვილი.

7, თავადი სოლომონ ზაქარიას ძე მაყაშვილი.

8, თავადი სვიმონ გიორგის ძე ერისთავი.

9, ასისთავი თავადი ესტატე ივანეს ძე ჯორჯაძე.

კოლლეჟსკი სოვეტნიკები:

10, თავადი კონსტანტინე როსტომის ძე ჭავჭავაძე.

11, თავადი ივანე გიორგის ძე სიდომონოვ-ერისთავი.

12, თავადი ზაქარია ივანეს ძე სიდომონოვ-ერისთავი.

ნადვორნი სოვეტნიკები:

13, თომა ზაქარიას ძე თუშმალიშვილი.

14, ნიკოლოზ მიხეილის ძე რცხილაძე.

15, თავადი ნიკოლოზ სოლომონის ძე ლეონიძე.

კოლლეჟსკი ასსესორნი:

16, გიორგი ალექსანდრეს ძე მგალობლიშვილი.

17, რევაზ სარდიონის ძე მაჭავარიანი.

18, თავადი ზაალ ივანეს ძე ჯანდიერი.

მაიორნი:

19, თავადი ზაქარია რომანოზის ძე მაყაშვილი.

20, დავით სოლომონის ძე გოგნიევი.

21, თავადი ალექსანდრე სოლომონის ძე ჩოლოყაშვილი.

ტიტულიარნი სოვეტნიკები:

22, თავადი იოსებ ევგენის ძე ჯანდიერი.

23, აზნაური ესტატე მიხეილის ძე საყვარელიძე.

24, თავადი ნიკოლოზ მიხეილის ძე აბამელიქოვი.

კაპიტნები:

25, თავადი დავით რომანოზის ძე ჭავჭავაძე.

26, თავადი ვასილ ნიკოლოზის ძე ჯორჯაძე.

27, თავადი არჩილ ვალერიანის ძე სიდომონივ-ერისთავი.

28, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გველესიანი.

29, თავადი აბელ გაბრიელის ძე მაყაშვილი.

30, თავადი ალექსანდრე დიმიტრის ძე მაყაშვილი.

31, თავადი ალექსანდრე სოლომონის ძე ლეონიძე.

32, ნიკოლოზ ისიდორეს ძე ანდრონიკაშვილი.

33, როტმისტრი თავ. ირაკლი სპირიდონის ძე ჭავჭავაძე.

34, ესაული თავ. ირაკლი იოსების ძე ჭავჭავაძე.

შტაბს-კაპიტნები:

35, თავადი მიხეილ ისიდორეს ძე მაყაშვილი.

36, თავადი მიხეილ თამაზის ძე რუსიშვილი.

37, თავადი ალექსანდრე ზაალის ძე ჯანდიერი.

კოლლეჟსკი სეკრეტრები:

38, თავ. ალექსანდრე ლევანის ძე ჯორჯაძე.

39, ვლადიმერ ალაფონის ძე სვიმონოვი.

40, თავადი დავით მიხეილის ძე რუსიშვილი.

გუბერნსკი სეკრეტრები:

41, თავადი ნოდარ მიხეილის ძე ჯორჯაძე.

42, თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მაყაშვილი.

43, თავადი ილია სვიმონის ძე სიდომონ-ერისთავი.

44, კოსტანტინე დიმიტრის ძე ხირსელი.

45, თავადი იოსებ ვასილის ძე სიდომონ-ერისთავი.

46, თავადი დავით ვასილის ძე სიდომონ-ერისთავი.

47, კოსტანტინე ალაფონის ძე სვიმონოვი.

პორუჩიკები.

48, თავადი სვიმონ ივანეს ძე ჯორჯაძე.

49, დავით ქაიხოსროს ძე ბახუტოვი.

50, თავადი ბორის დიმიტრის ძე სიდომონოვ-ერისთავი.

უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი.

51, აპოლონ სარდიონის ძე ალექსეევ-მესხიევი.

52, თავადი იოსებ ზაქარიას ძე მაყაშვილი.

53, თავადი კოსტანტინე ზაქარიას ძე მაყაშვილი.

54, ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი.

55, თავადი გიორგი დიმიტრის ძე სიდომონოვ-ერისთავი.

56, თავადი ალექსანდრე დიმიტრის ძე სიდომონოვ-ერისთავი.

57, ილარიონ სვიმონის ძე ბახუტოვი

58, გრიგოლ სვიმონის ძე რცხილაძე.

59, არჩილ ალექსანდრეს ძე ბახუტოვი.

საშუალო სასწავლებლების კურს დამთავრებულნი.

60, ვასილ ილიას ძე რცხილაძე.

კოლეჟსკი რეგისტრატორები:

61, თავადი ილია ზაქარიას ძე ავალიშვილი.

62, თავადი ვახტანგ ვასილის ძე სიდომონოვ ერისთავი.

63, თავადი ლუარსაბ გიორგის ძე მაყაშვილი.

64. მიხეილ გიორგის ძე ანდრონიკაშვილი.

პრაპორჩიკები:

65, აბელ ივანეს ძე აბელაშვილი.

66, თავადი ვასილ მიხეილის ძე მაყაშვილი.

67, თავადი ალექსანდრე გაბრიელის ძე მაყაშვილი.

68, თავადი აბელ ლუარსაბის ძე რუსიშვილი.

69, თავადი მიხეილ ანდრიას ძე ლეონიძე.

მესამე ხარისხის სტანისლავის მქონებელნი:

70, თავადი გრიგოლ რომანოზის ძე ჭავჭავაძე.

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძირობებს, ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სადებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ სადებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, აგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებს, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია, საათ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—12)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. $^1/_2$ ნაჭერი **30** კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—5.—9)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Рояль-Ралле“

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.